დეკანის ბრძანება №2/2013

„თსუ დესპანი 2013“ სტატუსის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე **„თსუ დესპანი 2013“** სტატუსის მოსაპოვებლად.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ყველა სტუდენტს.
3. კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს სამ სტუდენტს.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია **2013 წლის 27 იანვრის 12:00**–მდე .
5. არასრულად შევსებული სარეგისტრაციო ფორმის ავტორი კონკურსის შემდგომ ეტაპზე არ დაიშვება.
6. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს საკონკურსო კომისია გასაუბრების შედეგად.
7. გასაუბრების თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე არაუგვიანეს 30 იანვრისა.
8. კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცეს დესპანის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.
9. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია:
   - გააკეთოს პრეზენტაცია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო პროგრამების წარმოსაჩენად და გასაცნობად;
   - წაიკითხოს მოკლე სამეცნიერო–პოპულარული მოხსენება;

- ჩაატაროს ვიქტორინა ფაკულტეტის, მასზე მოქმედი პროგრამების და უნივერსიტეტის შესახებ;
- ვიქტორინაში გამარჯvებულს გადასცეს სპეციალური პრიზი;
- წარმოადგინოს ანგარიში, რომლის აუცილებელი კომპონენტია დესპანის საქმიანობის ამსახველი ვიზუალური მასალა.

10. ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ წარმატებულ დესპანებს გადაეცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.
11. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე და საინფორმაციო სტენდებზე

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,

სრული პროფესორი

14.01.2013